საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება

თბილისი

MES 3 20 0001131992

27/11/2020

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის, სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, ,,პროფესიული განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ღ[1]" ქვეპუნქტის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების" მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", და „ლ" ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2020 წლის 27 ნოემბრის N1131667 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტის მიერ უშუალოდ ან შესაბამისი უწყებების დახმარებით განხორციელებული შემოწმების შედეგად, სამუშაო ადგილებზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესრულებაზე გაცემული დადებითი დასკვნის საფუძველზე.

2. 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულებები (გარდა ამ გრძანების მესამე პუნქტით გათვალისწინებული დაწესებულებებისა) უფლებამოსილნი არიან:

ა) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პრაქტიკული კომპონენტები წარმართონ სასწავლო სახელოსნოებსა და პრაქტიკული სწავლებისთვის განკუთვნილ სხვადასხვა სივრცეებში (მათ შორის საწარმოებსა და პრაქტიკის ობიექტებზე), საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შემოწმების საფუძველზე შესაბამისი მითითებების/რეკომენდაციების დაცვით;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სხვა კომპონენტები წარმართონ დისტანციურ რეჟიმში.

3. ქალაქებში - თბილისში, ბათუმში, ქუთაისში, რუსთავში, გორში, ზუგდიდში, ფოთში, მარნეულში, გარდაბანსა და თელავში - არსებულმა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელმა დაწესებულებებმა, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით, სასწავლო პროცესი წარმართონ მხოლოდ დისტანციური სწავლების ფორმით.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 11 სექტემბრის N820672 და 2020 წლის 02 ოქტომბრის N935838 ბრძანებები.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

საქართველოს განათლების, მეცნიერების,
კულტურისა და სპორტის მინისტრი
მიხეილ ჩხენკელი

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

MES 2 20 0001145905

02/12/2020

,,პროფესიული სტუდენტების სასწავლო განრიგის შესახებ“

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების“ შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის N322 დადგენილების (უკანასკნელი ცვლილებები - საქართველოს მთავრობის 2020 წლის 26 ნოემბრის N699 დადგენილება) და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 ნოემბრის MES 3 20 0001131992 ბრძანების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქვემოთ მითითებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც ხორციელდება ქ. თბილისში, სასწავლო პროცესი 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით წარიმართოს დისტანციურ რეჟიმში: „ბეჭდვითი მედიატექნოლოგიები“, „საოფისე საქმე“, სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“, „ღონისძიების ორგანიზება“, „ავტომობილის ელექტრული სისტემის შეკეთება“, „ავტომობილის ძრავის შეკეთება“, „საბაჟო საქმე“, „გრაფიკული დიზაინის შესრულება“, „სარკინიგზო გადაზიდვები“, „მექატრონიკა“, „მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი“, „ხის მხატვრული დამუშავება“, „ჰაერის კონდიცირება“, ,,სამკერვალო წარმოება", ,,ფეხსაცმლისა და ტყავის ნაკეთობათა წარმოება", „სამრეწველო ავტომატიზაცია“, „მაღალი ძაბვის ელექტროტექნიკოსი“;

2. გარდა ამ ბრძანების პირველი პუნქტით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო პროცესი შეჩერდეს ყველა დანარჩენ პროფესიულ პროგრამებზე, 2020 წლის 28 ნოემბრიდან 2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს (თ. წერეთელს).

4. ბრძანება, საჯარო გაცნობისათვის, განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

5. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისათვის დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ.N64).

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი დავით გურგენიძე